GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

15 Nisan / აპრილი 2024

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	8 210.1	7.5%	16.4%	0.5%

Irakli Kobakhidze Müslümanların Ramadan Bayramını Kutladı

ირაკლი კობახიძემ მუსლიმებს რამადან ბაირამი მიულოცა

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze Tiflis Cuma Camisi'nde müslümanların ramazan bayramını kutladı.

Başbakan toplanan vatandaşlara hitaben konuşma yaptı ve müslüman toplumun Gürcü toplumundan ayrılmaz olduğunu ve yüzyıllarca devam eden dostluk geleneğinin özellikle kıymetli olduğu kaydetmiştir.

Camide toplananlara hitaben Gürcistan Devlet Din İşleri Ajansı Başkanı Zaza Vashakmadze, Doğu Gürcistan Müftüsü Etibar Eminov, Gürcistan Müslümanları Şeyhi Faig Nabiyev ve Batı Gürcistan Müftüsü Adam Shantadze konuşma yapmışlardır.

Müslüman toplumun manevi liderleri başbakana bayramı kutladığı için teşekkürlerini sundular ve toplum adına sembolik bir armağan takdim ettiler.

Tiflis Cuma Camisi'nde kordiplomatik temsilcileri de hazır bulundular.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ თბილისის ჯუმა მეჩეთში მუსლიმებს რამადან ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

პრემიერმა მეჩეთში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ მუსლიმი თემი ქართული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და განსაკუთრებით ძვირფასია მეგობრობის ის ტრადიცია, რომელიც საუკუნეებს ითვლის.

თბილისის მეჩეთში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აგრეთვე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთმა ეტიბარ ემინოვმა, საქართველოს შეიხმა ფაიგ ნაბიევმა და დასავლეთ საქართველოს მუფთმა ადამ შანთაძემ.

მუსლიმთა სამმართველოს სულიერმა ლიდერებმა პრემიერ-მინისტრს დღესასწაულის მილოცვისთვის მადლობა გადაუხადეს და მუსლიმთა სამმართველოს სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

თბილისის ჯუმა მეჩეთში იმყოფებოდნენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ᲘᲛᲔᲜᲐᲝᲜ ᲘᲨᲑᲐᲜᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan ve Çin Arasında İkili Vize Serbestliği Anlaşması İmzalandı

საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი უვიზო რეჟიმის შეთანხმებას ხელი მოეწერა



10 Nisan 2024 tarihinde Gürcistan ve Çin arasında umuma mahsus pasaport sahiplerine yönelik ikili vize muafiyeti anlaşması imzalandı.

Anlaşma, Gürcistan Dışişleri Bakanı Ilia Darchiashvili ile Çin Halk Cumhuriyeti Gürcistan Büyükelçisi, Zhou Qian tarafından imzalandı.

Bakan Darchiashvili'ye göre, ikili vizesiz rejimi insanlararası dostluğun pekiştirilmesi ve ülkeler arasında ekonomik ilişkilerin geliştirilmesi açısından mühimdir.

Ilia Darchiashvili söz konusu anlaşmanın Gürcistan-Çin dostane ilişkilerin ve verimli işbirliğinin daha da geliştirilmesine yeni bir ivme kazandıracağını, halklar arası temas, turistik, kültürel ve ticari ekonomik ilişkiler alanındaki imkanların kullanmasına destek vereceğini belirtmiştir.

İmzalanan anlaşma Gürcistan ile Çin arasında geçen sene kurulmuş stratejik ortaklığın bir ifadesi daha ve işbirliğinin bir diğer önemli, somut sonucudur.

Anlaşma yürürlüğe girdikten sonra Gürcistan vatandaşlarına Çin Halk Cumhuriyetine vizesiz seyahat yapma ve ziyaret başına ülkede en fazla 30 gün kalabilme imkanı tanır.

2024 წლის 10 აპრილს ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ჩინეთის მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთა სავიზო მოთხოვნებისგან ორმხრივად გათავისუფლების შესახებ“.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ჭოუ ციენმა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ორმხრივი უვიზო რეჟიმის არსებობა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარება -გაღრმავების თვალსაზრისით.

ილია დარჩიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული შეთანხმება ახალ იმპულსს შესძენს საქართველო-ჩინეთის მეგობრული ურთიერთობებისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი კონტაქტების, ტურისტული, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების სფეროში არსებული შესაძლებლობების სრულ გამოყენებას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

აღსანიშნავია, რომ ხელმოწერილი შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთს შორის გასულ წელს დამყარებული სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ ერთი გამოხატულებაა და ურთიერთთანამშრომლობის მორიგ მნიშვნელოვან ხელშესახებ შედეგს წარმოადგენს.

ძალაში შესვლის შემდეგ შეთანხმება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ იმოგზაურონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და დაჰყონ ქვეყანაში ერთჯერადად 30 დღე.

Ocak-Mart Döneminde İhracat %9.3, İthalat %5.3 Oranında Azaldı

იანვარ-მარტში ექსპორტი 9.3%-ით, ხოლო იმპორტი 5.3%-ით შემცირდა

2024'ün ocak-mart döneminde Gürcistan'da dış ticaret cirosu (Deklare edilmemiş ticaret hariç) bir önceki yılın aynı verilerine göre %6.5 daha az olan 4.699 milyar doları teşkil etmiştir.

İhracat 1.325 milyar dolar (Azalma- %9.3) ithalat ise 3.373 milyar dolar (Azalma- %5.3) olarak gerçekleşti.

2024'ün ocak-mart aylarında olumsuz ticari denge dış ticaret cirosunun yüzde 43.6'sı olan 2.047 milyar doları buldu.

2024 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 4.699 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.5 პროცენტით ნაკლებია.

აქედან, ექსპორტი 1.325 მლრდ. აშშ დოლარი იყო (შემცირდა 9.3 პროცენტით), ხოლო იმპორტი 3.373 მლრდ. აშშ დოლარი (შემცირდა 5.3 პროცენტით).

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წლის იანვარ-მარტში 2.047 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.6 პროცენტია.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანანი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Türkiye’de Pul Biber İhracatı Yılın İlk Çeyreğinde Yüzde 24 Arttı

თურქეთიდან დაფქული წითელი წიწაკის ექსპორტი წლის პირველ კვარტალში 24%-ით გაიზარდა

Güneydoğu Anadolu İhracatçı Birlikleri verilerine göre, Türkiye'den geçen yıl 99 ülkeye 12 milyon 226 bin dolarlık pul biber ihracatı yapıldı.

Geçen yılın ocak-mart döneminde 2 milyon 871 bin dolar olan pul biber ihracatının tutarı, bu yılın aynı döneminde yüzde 24'lük artışla 3 milyon 597 bin dolara çıktı.

Almanya, Hollanda, Suudi Arabistan, İngiltere, Irak, Fransa, ABD, Rusya, Birleşik Arap Emirliği, Libya, Kanada, Çin Halk Cumhuriyeti, Umman, Japonya, Bulgaristan, Gana, Mozambik, Küba ve Fas'ın da aralarında bulunduğu 67 ülkeye bu yılın ilk çeyreğinde 1112 ton pul biber gönderildi.

Ülkeler bazında pul biber ihracatında ilk sırayı 573 bin dolarla Almanya aldı. Bu ülkeyi 514 bin dolarla Amerika Birleşik Devletleri ve 511 bin dolarla Hollanda izledi.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ექსპორტიორთა ასოციაციის ცნობით, გასულ წელს თურქეთიდან 99 ქვეყანაში 12 მილიონ 226 ათასი დოლარის ღირებულების დაფქული წითელი წიწაკის ექსპორტი განხორციელდა.

2023 წლის იანვარი-მარტის პერიოდში 2 მილიონ 871 ათასი დოლარის ღირებულების დაფქული წითელი წიწაკის ექსპორტი წელს იგივე საანგარიშო პერიოდში 24%-ით გაიზარდა და 3 მილიონ 597 ათას დოლარს მიაღწია.

2024 წლის პირველ კვარტალში 67 ქვეყანაში 1112 ტონა დაფქული წითელი წიწაკა გაიგზავნა, იმპორტიორ ქვეყნებს შორისაა გერმანია, ჰოლანდია, საუდის არაბეთი, ინგლისი, ერაყი, საფრანგეთი, აშშ, რუსეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ლიბია, კანადა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ომანი, იაპონია, ბულგარეთი, განა, მოზამბიკი, კუბა და მაროკო.

ქვეყნებს შორის დაფქული წითელი წიწაკის იმპორტში 573 000 დოლარით პირველ ადგილს გერმანია იკავებს. გერმანიას 514 000 დოლარით აშშ, 511 000 დოლარით კი ჰოლანდია მოსდევს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურს

USD/GEL – 2.6709 **TRY/GEL** – 0.0826 **EUR/GEL** – 2.8453 **GBP/GEL** – 3.3333

BTC/USD – 66,723.30

USD/GEL

08 - 15 Nisan 2024



USD/TR

08 - 15 Nisan 2024

TRY/GEL

08 - 15 Nisan 2024

USD/BTC

08 - 15 Nisan 2024

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თბილისი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank